სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

09 თებერვალი, 2026 წ

ბრძანება N 01-02/32

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ავეიროს უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობის ბსუ-ს აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის გამოსავლენად

კონკურსის ჩატარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საერთაშორისო მობილობის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილების, ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე არაშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 05 თებერვლის №01-14/34 ბრძანების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (03.02.2025 წლის №105774) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ავეიროს უნივერსიტეტში (პორტუგალია) საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს ბიზნესისა და ადმინისტრირების, მენეჯმენტი და ადმინისტრირება - ადგილობრივი საჯარო ადმინისტრირების; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICTs), მექანიკა და ლითონის დამუშავების **მიმართულების** აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის გამოსავლენად **განისაზღვროს შემდეგი ვადები**:

1.1 კონკურსში მონაწილეობის მსურველი აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/131 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება - **2026 წლის 09 თებერვლიდან - 23 თებერვლის ჩათვლით, 15:00 საათამდე:**

ა) აკადემიური პერსონალისთვის - ბსუ-ს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (კანცელარიის) **eflow** მეშვეობით:

ბ) ხელშეკრულებით მოწვეული მასწავლებელთა პერსონალისთვის - ელექტრონული ფოსტის: info@bsu.edu.ge მეშვეობით;

1.2 საბუთების შემოწმება და შეფასება - 2026 წლის **24 თებერვალი** - 10:00 საათი (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით

უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი);

1.3 გასაუბრება კომისიასთან - **2026 წლის 24 თებერვალი,** 11:00 საათიდან;

1.4. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული **კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება** მიმღები უნივერსიტეტისათვის - არაუგვიანეს **2026 წლის 27 თებერვლის 18:00 საათისა.**

2. დამტკიცდეს **კომისიის შემადგენლობა:**

ა) ტიტე არაშიძე - თავმჯდომარე, რექტორი;

ბ) გიორგი ქათამაძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) ნარგიზ ფალავანდიშვილი - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი;

ვ) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

ზ) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

თ) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;

ი) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მდივანი.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორის მოადგილე
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**